

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N32(39), 1999 წელი, მუხ. 166) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტები (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული/გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია;“.

2. 27-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე გამოქვეყნებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით;“.

3. 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, მისი მიღებიდან/გამოცემიდან 2 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ამ ორგანოს ვებგვერდზე.

3. საჯარო დაწესებულების ბიუჯეტი მისი მიღებიდან/დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო ბიუჯეტის შესრულების, მათ შორის, ყოველკვარტალური, ანგარიში საბიუჯეტო წლის/კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ამ ორგანოს ვებგვერდზე.

4. საჯარო დაწესებულების ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის განთავსებისას, მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებული უნდა იყოს საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული პროგრამული უზრუნველყოფა.“.

4. 35-ე მუხლის არსებული ნორმა ჩაითვალოს პირველ ნაწილად და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 ნაწილი:

„2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საჯარო რეესტრი განათავსოს თავის

ვებგვერდზე.“.

5. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მოსამსახურე, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და რომლის გადაწყვეტილება (უარი ან უმოქმედობა) შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონიერი მოთხოვნის არაჯეროვნად შესრულება საჯარო დაწესებულების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მოსამსახურის მიერ, კერძოდ, კანონით დადგენილი ვადის დარღვევა ან/და მოთხოვნის არასრულად შესრულება, ისჯება ჯარიმით მისი თვითური ხელფასის ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება – თვითური ხელფასის ოდენობით.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა საჯარო დაწესებულების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მოსამსახურის მიერ, კერძოდ, უარის თქმა, უპასუხოდ დატოვება ან მოთხოვნის შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდება, ისჯება ჯარიმით მისი თვითური ხელფასის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება – თვითური ხელფასის ორმაგი ოდენობით.“.

6. 37-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:

„3. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, განცხადების შეტანისთანავე დაარეგისტრიროს იგი კანონმდებლობით დადგენილი წესით, განცხადებაზე აღნიშნოს სარეგისტრაციო ნომერი, მისი მიღების თარიღი და დრო და განმცხადებელს მოთხოვნისთანავე დაუდასტუროს მისი მიღება განცხადების ასლზე სარეგისტრაციო მონაცემების აღნიშვნით და ხელმოწერით ან სათანადო ცნობის მიცემით.

4. განცხადების რეგისტრაციაზე საჯარო დაწესებულების პასუხისმგებელი მოსამსახურის მიერ ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება ისჯება ჯარიმით მისი თვითური ხელფასის ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება – თვითური ხელფასის ოდენობით.“.

7. 38-ე მუხლის არსებული ნორმა ჩაითვალოს პირველ ნაწილად და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 ნაწილი:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ნორმასა და საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რომელიმე ნორმას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭება ამ მუხლით დადგენილ ნორმას. ბათილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამ მუხლით დადგენილისაგან განსხვავებული ნებისმიერი ნორმა.“.

8. მე-40 მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

„1¹. ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა გულისხმობს დროს, რომელიც აუცილებელია მოთხოვნილი ინფორმაციის ამოღებისა და მისი ასლის დამზადებისთვის. ეს დრო ინფორმაციის მოთხოვნიდან 7 სამუშაო საათს არ უნდა აღემატებოდეს.“.

9. 42-ე მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, მონაცემები იმ საფრთხის თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, აგრეთვე პირის საცხოვრებელი და საქმიანობის გარემოს უსაფრთხოების მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები;

ბ) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემდეგ შესაბამისად დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ და „გ¹“ ქვეპუნქტები:

„ბ¹) ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებები (ხელშეკრულება, შეთანხმება, მემორანდუმი, განზრახვლობათა ოქმი);

გ¹) საჯარო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობა და ხელფასი;“.

10. 55-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კანონით განსაზღვრული წესით.“.

11. 56-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და აქტის გამოცემიდან/მიღებიდან 2 დღის ვადაში – მის ვებგვერდზე.“.

12. 79-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. განცხადების რეგისტრაციაზე ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი მოსამსახურის მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება ისჯება ჯარიმით მისი თვიური ხელფასის ორმოცდაათი პროცენტის ოდენობით, ხოლო განმეორებით ჩადენილი იგივე ქმედება – თვიური ხელფასის ოდენობით.“.

13. 106² მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ნორმატიული აქტების შესახებ კანონისა და ამ კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.“.

14. 177-ე მუხლს მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ ნაწილი:

„3¹. ადმინისტრაციული ორგანოს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი მოსამსახურის გადაწყვეტილება (უარი ან უმოქმედობა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.“.

15. 218-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია, შექმნას ვებგვერდი და მასზე

განათავსოს კანონით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია არა უგვიანეს 2011 წლის 1 იანვრისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N39(46), 1999 წელი, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საჯარო დაწესებულების ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილების (უარის ან უმოქმედობის) გამო აღძრულ სარჩელზე და ამ კოდექსის VII³ თავით გათვალისწინებულ საქმეებზე.“.

2. ამ კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13³ და 13⁴ მუხლები:

„მუხლი 13³. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებიდან

გამომდინარე სასამართლო დავების განხილვის ვადა

1. საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებიდან გამომდინარე სასამართლო დავების განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

2. სააპელაციო სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებიდან გამომდინარე სასამართლო დავების განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო დავებზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისთვის გადასაცემად.

მუხლი 13⁴. მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების გამო

სასამართლო დავების განხილვის ვადა

1. მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების გამო სასამართლო დავების განხილვის ვადა პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო განცხადების წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

2. მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების გამო სასამართლო დავების განხილვის ვადა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო დავებზე გადაწყვეტილების

სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეებისთვის გადასაცემად.“.

3. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საჯარო დაწესებულების ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი მოსამსახურისა და განცხადების რეგისტრაციაზე საჯარო დაწესებულების პასუხისმგებელი მოსამსახურის მოქმედების გამო სარჩელის აღძვრისა და მისი დაჯარიმების მოთხოვნის უფლება აქვს, შესაბამისად, ამ ინფორმაციის მომთხოვნ ან განცხადების წარმდგენ პირს.“.

4. 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

„7. ამ კანონის 13³ და 13⁴ მუხლების ამოქმედებამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებიდან გამომდინარე და მაუწყებლობის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების გამო საერთო სასამართლოების წარმოებაში არსებული დავების განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადის დინების დაწყების თარიღად განისაზღვროს ამ კანონის 13³ და 13⁴ მუხლების ამოქმედების თარიღი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N14, 16.06.2004, მუხ. 50) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 და მე-3 პუნქტები:

„2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში შეიტანება იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

3. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. რეესტრში არსებული მონაცემების საფუძვლად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, მათ შორის, საზოგადოების პარტნიორებისა (გარდა აქციონერებისა, რომელთა წილებიც 5%-ზე ნაკლებია) და მათი წილობრივი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის, ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად საკმარისია იურიდიული პირის ერთ-ერთი საინდენტიფიკაციო მონაცემის ცოდნა.“.

2. მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ეროვნული სააგენტოს ფუნქციებია:

ა) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) და საჯარო რეესტრების წარმოება;

ბ) ზემოაღნიშნული რეესტრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ზემოაღნიშნული რეესტრების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

დ) ზემოაღნიშნული რეესტრების წარმოებისა და ხელმისაწვდომობის მეთოდური ხელმძღვანელობა და შესაბამისი ნორმატიული ხასიათის მითითებების შემუშავება;

ე) სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ეროვნული სააგენტოს დებულებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N3, 13.02.2004, მუხ. 7) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. XI თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XI¹ თავი (მუხლი 34¹):

„თავი XI¹. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მუხლი 34¹

1. საქართველოს მთავრობის საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კანცელარიის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია.

2. საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კანცელარიის:

ა) საჯარო რეესტრი;

ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, – მისი მიღებიდან/გამოცემიდან 2 დღის ვადაში;

გ) ბიუჯეტი – მისი მიღებიდან/დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში;

დ) ბიუჯეტის შესრულების, მათ შორის, ყოველკვარტალური, ანგარიში – საბიუჯეტო წლის/კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში.

3. საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს ყველა ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, მისამართი, ვებგვერდის მისამართი, ტელეფონის ნომერი.“.

2. 35-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. საქართველოს მთავრობა ვალდებულია, თავის ვებგვერდზე სრულად განათავსოს კანონით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია არა უგვიანეს 2011 წლის 1 იანვრისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N26, 30.09.2002, მუხ. 125) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-16 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 16¹ მუხლი:

„მუხლი 16¹. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და კანონით დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

2. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს ამ ორგანოს:

ა) საჯარო რეესტრი;

ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა მისი იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, – მისი მიღებიდან/გამოცემიდან 2 დღის ვადაში;

გ) ბიუჯეტი – მისი მიღებიდან/დამტკიცებიდან 2 დღის ვადაში;

დ) ბიუჯეტის შესრულების, მათ შორის, ყოველკვარტალური, ანგარიში – საბიუჯეტო წლის/კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში.“.

2. 20¹ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 20² მუხლი:

„მუხლი 20². ვებგვერდის შექმნის ვალდებულება

ყველა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია, შექმნას ვებგვერდი და მასზე სრულად განათავსოს კანონით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია არა უგვიანეს 2011 წლის 1 იანვრისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N5, 18.01.2005, მუხ. 19) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის:

ა) „გ“, „ზ“, „კ“, „ს“, „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტების შემდეგ შესაბამისად დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“, „გ²“, „კ¹“, „ს¹“ „ღ¹“ და „ყ¹“ ქვეპუნქტები:

„გ¹) ახლო ნათესავი – პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დადმავალი შტოს ნათესავი, გერი, და-ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები;

გ²) ბენეფიციარი მესაკუთრე – პირი, რომელიც არის სამეწარმეო იურიდიული პირის პარტნიორი/აქციონერი, დირექტორი ან ნებისმიერი მმართველი ორგანოს წევრი, ხოლო თუ პარტნიორი/აქციონერი სამეწარმეო იურიდიული პირია, – აგრეთვე მისი პარტნიორი/აქციონერი, დირექტორი ან ნებისმიერი მმართველი ორგანოს წევრი; გარდა ამისა, თუ იურიდიული პირის პარტნიორი/აქციონერი/წევრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი, მაშინ ბენეფიციარ მესაკუთრედ მიიჩნევა მისი დირექტორი და მმართველი ორგანოს წევრი;

კ¹) იდეალური მიზნებისათვის შექმნილი პირი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის ქონება, მათ შორის, მოგება, არ შეიძლება განაწილდეს მის წევრთა შორის;

ს¹) ლიცენზიის მფლობელი – პირი, რომელიც მაუწყებლობას ეწევა თავისი ან/და სხვა პირის ლიცენზიით;

ღ¹) მნიშვნელოვანი წილი – სამეწარმეო იურიდიული პირის განცხადებული თუ განადგობული საწესდებო კაპიტალის წილის 5 პროცენტი ან მეტი, რომელსაც პირი ფლობს საწესდებო კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით;

ყ¹) არაპირდაპირი (ირიბი) მონაწილეობა (ფლობა) – სამეწარმეო იურიდიული პირის კაპიტალში წილის ფლობა მესამე პირის მეშვეობით, ან იდეალური მიზნებისათვის შექმნილი იურიდიული პირის ხელმძღვანელობაში მონაწილეობის მიღება მესამე პირის მეშვეობით;“;

ბ) „ს“ და „ყ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) ლიცენზიის მოდიფიცირება – საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში შეტანილი ცვლილებების ან/და დამატებების შესაბამისად ან/და ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;

ყ) ოჯახის წევრი – პირის დედ-მამა, მეუღლე, შვილი, და-ძმა;“.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომისია „რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტის“ შესაბამისად, 2 წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს და აქვეყნებს სამაუწყებლო სიხშირეთა გეგმას ლიცენზიის მამიებლებისათვის, ხოლო საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე – ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს, რომელსაც მაუწყებლებისთვის სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.“.

3. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს „ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე¹) ტენდერის საფუძველზე საერთაშორისოდ აღიარებული არანაკლებ 5 აუდიტორის შერჩევა ეროვნული მაუწყებლის აუდიტის ჩასატარებლად;“.

4. მე-11 მუხლში:

ა) პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად:

ა) არის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი;

ბ) არის პოლიტიკური პარტიის წევრი;

გ) ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს იმ პირისათვის, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს;

დ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იმ საწარმოს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს, ან რომელიც აწარმოებს ან/და ავრცელებს რეკლამას;

ე) არის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი იმ პირისა, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს, ან რომელიც აწარმოებს ან/და ავრცელებს რეკლამას;

ვ) აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს.

2. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი, აგრეთვე პირი, რომელიც კომისიის წევრად დანიშვნამდე ბოლო 2 წლის რაიმე პერიოდში იყო თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი იმ პირისა, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს.

3. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის ოჯახის წევრსაც აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ – „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. კომისიის წევრს მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში უფლება არა აქვს ფლობდეს იმ იურიდიული პირის წილს/აქციებს, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს, იყოს ამ იურიდიული პირის თანამშრომელი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი, აგრეთვე მისთვის ან მისი პარტნიორის/აქციონერის, ან თანამდებობის პირისთვის ასრულებდეს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს. ეს შეზღუდვა ვრცელდება კომისიის წევრის ოჯახის წევრზეც.“.

5. მე-14 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 14¹:

„**მუხლი 14¹. კომისიის საქმიანობის საჯაროობა**

1. კომისია ვალდებულია, თავის ვებგვერდზე განათავსოს კანონით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა დასახელება, მისამართი, ვებგვერდის მისამართი, ტელეფონის ნომერი.

2. კომისიის გადაწყვეტილებები ვებგვერდზე უნდა განთავსდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

3. კომისიის მიერ მიღებული ინფორმაცია, რომელიც საჯარო ინფორმაციას მიეკუთვნება, ვებგვერდზე უნდა განთავსდეს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში.“.

6. IV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IV. მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის უფლება და ლიცენზირება“.

7. 36-ე მუხლს:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.“;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ინტერნეტის მეშვეობით მაუწყებლობა ლიცენზირებას არ ექვემდებარება.“;

8. 37-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 37. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი

1. მაუწყებლობის უფლება აქვს მხოლოდ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელს. ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ან საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი.

2. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე ან/და მათი ოჯახის წევრი;

გ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი;

დ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი;

ე) იურიდიული პირი, რომლის ბენეფიციართა შორის არის ანონიმური პირი;

ვ) იურიდიული პირი, რომლის მნიშვნელოვანი წილის მფლობელ ბენეფიციართა შორის არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე ან/და მათი ოჯახის წევრი;

ზ) იურიდიული პირი, რომლის ბენეფიციართა შორის არიან პირები, რომელთა ჯამური წილი 20%-ზე მეტია, თუ ისინი არიან უცხოელები, უცხოეთის იურიდიული პირები, ან/და საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, მაგრამ ასეთი რეზიდენტის უცხოელი ბენეფიციარები პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ ამ იურიდიული პირის 49%-ზე მეტს;

თ) რეკლამის მწარმოებელი ან/და გამავრცელებელი იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული პირი, რომლის 5%-ზე მეტი ეკუთვნის რეკლამის მწარმოებელს ან/და გამავრცელებელს. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება მაუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებულ რეკლამაზე;

ი) იურიდიული პირი, თუ მის წილს, მთლიანად ან ნაწილობრივ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფლობს ისეთ სახელმწიფოში ან სახელმწიფოს ისეთ ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელშიც დაცულია იურიდიული პირის საკუთრების, საქმიანობის, მისი პარტნიორების/აქციონერების კონფიდენციალობა ან/და დაწესებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოგების ან/და საშემოსავლო გადასახადებზე 50%-ით ნაკლები ან უფრო დაბალი განაკვეთები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება იმ სახელმწიფოს მოქალაქესა და იურიდიულ პირზე, რომელთანაც ეს შეზღუდვა გაუქმებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.“.

9. ამოღებულ იქნეს 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები და მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უფასოდ და უცვლელი სახით განახორციელოს თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების, აგრეთვე სიხშირული სპექტრის გამოყენებით იმ ტელემაუწყებლობის ტრანზიტი, რომელიც ვრცელდება საკაბელო ქსელით დაფარულ ტერიტორიაზე, შესაბამისი ლიცენზიის მფლობელის წერილობითი თანხმობით. საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს არ განახორციელოს ტელემაუწყებლობის ტრანზიტი, თუ ზემოაღნიშნული ლიცენზიის მფლობელი მას მოსთხოვს ტრანზიტის საფასურის გადახდას და ვერ მიიღწევა მათი შეთანხმება.“.

10. 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 39. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის ვადა

1. სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზია გაცივმა 10 წლის ვადით. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ლიცენზიის მოქმედება იმავე ვადით გრძელდება ავტომატურად, თუ ამ ვადის ამოწურვის მომენტისთვის შეჩერებული არ იყო ლიცენზიის მოქმედება. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების მომენტისათვის დადგენილი სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას.

2. თუ ლიცენზიის მოქმედება შეჩერებული იყო მისი მოქმედების ვადის ამოწურვის მომენტისთვის და ლიცენზიის მფლობელმა ლიცენზიის მოქმედების შეჩერებიდან 3 თვის ვადაში აღმოფხვრა ის დარღვევა, რის გამოც შეჩერდა ლიცენზიის მოქმედება, ლიცენზიის მოქმედების ვადა გაგრძელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელმა დადგენილ ვადაში არ გადაიხადა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სალიცენზიო მოსაკრებელი და სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა, ლიცენზია გაუქმდება და კომისია ვალდებულია, ჩაატაროს კონკურსი ლიცენზიის გაუქმებიდან 3 თვის ვადაში.

3. ციფრული, საკაბელო, ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზია გაცივმა უვადოდ.“.

11. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 41. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის გაცემის წესი

1. კომისია გადაწყვეტილებას ციფრული, საკაბელო, ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ იღებს კონკურსის გარეშე, კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზია გაცივმა მხოლოდ კონკურსის საფუძველზე.

2. სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა, მოდიფიცირება, მისი მოქმედების შეჩერება და გაუქმება, აგრეთვე ციფრული, ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით, აგრეთვე ციფრული მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა და მოდიფიცირება ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ამასთან, არ შეიძლება ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმა, თუ დაცულია კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური რეგულაციისა და ამ კანონის 37-ე და მე-60 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ არ იქნა მიღებული ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ლიცენზია გაცემულად ითვლება, პირს უფლება აქვს, ამ ვადის ამოწურვისთანავე დაიწყოს შესაბამისი საქმიანობა და კომისია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გასცეს ლიცენზია.

4. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები პარტნიორთა/აქციონერთა შესახებ. ამასთანავე, თუ პარტნიორი ან აქციონერი იურიდიული პირია, მითითებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული მონაცემები მის პარტნიორთა/აქციონერთა შესახებ და ა.შ., სანამ აღნიშნული არ იქნება ლიცენზიის მაძიებლის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელი ყველა ფიზიკური პირი;

გ) მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) მაუწყებლობის გავრცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა;

ე) მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში.

5. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;

გ) ფიზიკური პირისათვის – ამ პირისა და მისი ოჯახის წევრების შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია;

დ) იურიდიული პირისათვის – ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ, ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ, მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა შემოსავლისა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, ამ კანონის 61¹ მუხლით გათვალისწინებული შესაფერისობის დეკლარაცია მნიშვნელოვანი წილის მფლობელი როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ.

6. საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მაძიებელმა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ცნობა შესაბამისი დაფინანსების წარმოშობის შესახებ;

ბ) დოკუმენტაცია პროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე;

გ) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

დ) სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი დარჩენილ თანხას გადაიხდის კომისიის მიერ დადგენილი წესით.

7. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიებს გასცემს მხოლოდ კომისია. სხვა ლიცენზიებისა და ნებართვების დაწესება და მოთხოვნა აკრძალულია (ერთი გაჩერების პრინციპი).“.

12. 45-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლიცენზიის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობაში ან მაუწყებლობის სფეროს პრიორიტეტებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა;

ბ) ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის თაობაზე.

2. კომისია ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში. ამასთან, თუ მოდიფიცირების საფუძველი ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნაა, კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება მაუწყებლობის ლიცენზიის მოდიფიცირების შესახებ არ იქნა მიღებული კანონით განსაზღვრულ ვადაში, ლიცენზია მოდიფიცირებულად ითვლება და კომისია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გასცეს იგი.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. არ შეიძლება ლიცენზიის მოდიფიცირებაზე უარის თქმა, თუ ეს არ იწვევს

საერთო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის შეცვლას სპეციალიზებული საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიით, კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის შეცვლას სათემო მაუწყებლობის ლიცენზიით ან პირიქით, ან ამ კანონის 37-ე ან მე-60 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევას.“;

13. 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სხვა პირისათვის ლიცენზიის გადაცემა შეიძლება მხოლოდ დროებით, კომისიის წინასწარი თანხმობით, იმ პირობით, რომ ეს პირი უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მფლობელისთვის ამ კანონით დადგენილ პირობებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ლიცენზიის მფლობელზე, ასევე მის დროებით მფლობელზე ვრცელდება ამ კანონით დადგენილი უფლებები, ვალდებულებები და შეზღუდვები.“.

14. მე-60 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 60. მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა

1. პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად, მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ან/და თავისი ოჯახის წევრთან ერთად ფლობდეს მხოლოდ 1 საერთო საეთერო სატელევიზიო და, იმავდროულად, მხოლოდ 1 საერთო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში.

2. არც ერთ პირს უფლება არა აქვს, დამოუკიდებლად, მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ან/და თავისი ოჯახის წევრთან ერთად ფლობდეს ეროვნული სატელევიზიო მაუწყებლობის ერთზე მეტ ლიცენზიას.

3. პირს, რომელიც დამოუკიდებლად, მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ან/და თავისი ოჯახის წევრთან ერთად ფლობს ეროვნული სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას, უფლება არა აქვს, ფლობდეს საერთო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას მომსახურების რომელიმე ზონაში.

4. არც ერთ პირს უფლება არა აქვს, დამოუკიდებლად, მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ან/და თავისი ოჯახის წევრთან ერთად ფლობდეს ეროვნული რადიომაუწყებლობის ერთზე მეტ ლიცენზიას.

5. პირს, რომელიც დამოუკიდებლად, მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ან/და თავისი ოჯახის წევრთან ერთად ფლობს ეროვნული რადიომაუწყებლობის ლიცენზიას, უფლება არა აქვს, ფლობდეს საერთო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას მომსახურების რომელიმე ზონაში.

6. პირს, რომელიც დამოუკიდებლად, მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ან/და თავისი ოჯახის წევრთან ერთად ფლობს ეროვნული სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიას, აგრეთვე მის პარტნიორს/აქციონერს, თუ ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირია, უფლება არა აქვს, ფლობდეს სხვა ეროვნული სატელევიზიო მაუწყებლის წილს/აქციებს, ან იყოს მისი მმართველობის ორგანოს წევრი.

7. პირს, რომელიც დამოუკიდებლად, მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ან/და თავისი ოჯახის წევრთან ერთად ფლობს ეროვნული რადიომაუწყებლობის ლიცენზიას, აგრეთვე მის პარტნიორს/აქციონერს, თუ ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირია, უფლება არა აქვს, ფლობდეს სხვა ეროვნული რადიომაუწყებლის წილს/აქციებს, ან იყოს მისი მმართველობის ორგანოს წევრი.

8. ამ მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება ციფრულ, საკაბელო და თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების მეშვეობით განხორციელებულ მაუწყებლობაზე.“.

15. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 61. მაუწყებლის საკუთრების გამჭვირვალობა

1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ყოველწლიურად, 1 თებერვლამდე, თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) საწარმოს პარტნიორების, აქციათა მფლობელების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა (თუ აქვს ასეთი საბჭო) და დირექტორების თაობაზე, თუ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელია კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი; ხოლო თუ საწარმოს პარტნიორი ან აქციონერი იურიდიული პირია, მითითებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული მონაცემები მის პარტნიორთა/აქციონერთა შესახებ და ა.შ., სანამ აღნიშნული არ იქნება ლიცენზიის მფლობელი საწარმოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელი ყველა ფიზიკური პირი;

ბ) იურიდიული პირის დამფუძნებლების, სხვა წევრების, შემომწირველებისა და გამგეობის შემადგენლობის თაობაზე, თუ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელია საჯარო ან კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირი; ხოლო თუ ამ იურიდიული პირის დამფუძნებელი ან სხვა წევრი იურიდიული პირია, მითითებული უნდა იყოს, შესაბამისად, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და „ბ“ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში აღნიშნული მონაცემები მის პარტნიორთა/აქციონერთა, დამფუძნებელთა, სხვა წევრთა შესახებ და ა.შ., სანამ მითითებული არ იქნება ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელი ყველა ფიზიკური პირი;

გ) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის ფლობის შესახებ;

დ) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობისა და მათი ოდენობის შესახებ;

ე) რეკლამის მწარმოებელი ან/და გამავრცელებელი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში წილის/აქციების ფლობისა და მათი ოდენობის შესახებ;

ვ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ფლობის შესახებ;

ზ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობისა და მათი ოდენობის შესახებ;

თ) საინფორმაციო სააგენტოს ფლობის შესახებ;

ი) საინფორმაციო სააგენტოს საწესდებო კაპიტალში წილის ან აქციების ფლობისა და მათი ოდენობის შესახებ;

კ) სხვა საწარმოს ან სხვა საწარმოში წილის ან აქციების 5%-ის ან მეტის ფლობის შესახებ.

2. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია ყოველწლიურად, 1 თებერვლამდე გამოაქვეყნოს პრესაში, თავის ვებგვერდზე და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ მისი კაპიტალის წილის ან აქციების მფლობელი, დამფუძნებელი, სხვა წევრი, ხელმძღვანელი, შემომწირველი ან მათი

ოჯახის წევრი იმავდროულად ფლობს:

- ა) მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელის წილს ან აქციებს;
- ბ) რეკლამის მწარმოებელი ან/და გამავრცელებელი იურიდიული პირის წილს ან აქციებს;
- გ) პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის წილს ან აქციებს;
- დ) საინფორმაციო სააგენტოს წილს ან აქციებს.“.

16. 61-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მუხლი 61¹:

„მუხლი 61¹. შესაფერისობის დეკლარაცია

1. პირი (შემდგომში – დეკლარანტი), რომელიც აპირებს შეიძინოს მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის წილი იმ რაოდენობით, რომ მისი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მონაწილეობა ამ ლიცენზიის მფლობელის კაპიტალში გადააჭარბებს 5, 20 ან 49 პროცენტს, ვალდებულია კომისიას წარუდგინოს შესაფერისობის დეკლარაცია (შემდგომში – დეკლარაცია).

2. დეკლარაციაში დეკლარანტმა უნდა მიუთითოს:

- ა) თავისი საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) საიდენტიფიკაციო მონაცემები, ან უნდა აღნიშნოს, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ოპერაციის შედეგად ასეთი ბენეფიციარი მესაკუთრე (მესაკუთრეები) არ იქნება;

გ) მის საკუთრებაში არსებული წილის რაოდენობა ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში;

დ) მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, იმ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა და მის საკუთრებაში აღმოჩენილი წილის რაოდენობა, რომლის წილიც გადააჭარბებს 5, 20 ან 49 პროცენტს;

ე) დასკვნა ბენეფიციარი მესაკუთრის დეკლარაციაზე, რომელშიც აისახება, ადასტურებს თუ არა იგი ბენეფიციარი მესაკუთრის დეკლარაციაში მოყვანილი ინფორმაციის სიზუსტეს.

3. დეკლარანტმა თავის დეკლარაციას უნდა დაურთოს ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარი მესაკუთრის (მესაკუთრეების) მიერ შევსებული დეკლარაცია (დეკლარაციები).

4. კომისია შესაფერისობის დეკლარაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში ამოწმებს, ირღვევა თუ არა დეკლარანტის მიერ მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის წილის შეძენის შემთხვევაში ამ კანონის 37-ე და მე-60 მუხლებით დადგენილი შეზღუდვები და დასკვნას გადასცემს დეკლარანტსა და მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს. თუ დასკვნაში აღნიშნულია, რომ წილის შეძენა გამოიწვევს ზემოაღნიშნული შეზღუდვების დარღვევას და, მიუხედავად ამისა, წილის შეძენა მაინც მოხდა, კომისია მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელს აძლევს ამ კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გაფრთხილებას.“.

17. 62-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წერილობით აცნობოს კომისიას და

თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის პარტნიორის/აქციონერის, წევრის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის (თუ აქვს სამეთვალყურეო საბჭო), დირექტორის ან გამგეობის წევრის, აგრეთვე წილების ცვლილების, მათ შორის, ლიცენზიის მფლობელის პარტნიორი/აქციონერი იურიდიული პირის პარტნიორთა/აქციონერთა წილების ცვლილების, შესახებ, ცვლილების განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ და 1² პუნქტები:

„1¹. ამ კანონის 61¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის წილის გასხვისება არ შეიძლება განხორციელდეს კომისიის დასკვნის მიღებამდე, ხოლო თუ დასკვნაში აღნიშნული იქნა, რომ წილის გასხვისება გამოიწვევს ამ კანონის 37-ე და მე-60 მუხლებით დადგენილი შეზღუდვების დარღვევას, წილის გასხვისება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ ოდენობით, რომ არ დაირღვეს კანონით დადგენილი შეზღუდვები.

1². თუ კომისიამ გამოავლინა, რომ მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელის ან მისი წილის მფლობელის საკუთრების სტრუქტურის შეცვლის შედეგად დაირღვა ამ კანონის 37-ე და მე-60 მუხლებით დადგენილი შეზღუდვები, იგი ვალდებულია 2 დღის ვადაში ლიცენზიის მფლობელს აცნობოს დარღვევის შესახებ და მისცეს ამ კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გაფრთხილება. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი და პირი, რომლის წილის ფლობამ გამოიწვია კანონით დადგენილი შეზღუდვების დარღვევა, ვალდებული არიან კომისიის შეტყობინების მიღებიდან 2 თვის ვადაში აღმოფხვრან მითითებული დარღვევა.“.

18. VIII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რეკლამა, ტელემოპინგი, სპონსორობა, დაფინანსება“.

19. 65-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არიან ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმონ 1 საათში არანაკლებ 60 წამისა და მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს სოციალური რეკლამის სახით მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტებისა და მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცედურების შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს;

ბ) არჩევნების თარიღს;

გ) საარჩევნო საპროცედურო უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) ხმის მიცემის წესს;

ე) საარჩევნო სუბიექტების ვინაობას.“.

20. 66-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 66¹-ე მუხლი:

„მუხლი 66¹. დაფინანსების დაუმუშავლობა

1. აკრძალულია ადმინისტრაციული ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს წევრის ან საჯარო მოსამსახურის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი

მომსახურების შესყიდვა და მაუწყებლის პროგრამების მომზადების ან ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება, გარდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მხოლოდ ტენდერის საფუძველზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ორგანოს ბიუჯეტის ცალკე მუხლით, შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება მხოლოდ სოციალური რეკლამისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი არაპოლიტიკური ინფორმაციის (ინფორმაცია ამინდის, გარემოს, გზებისა და ქუჩების მდგომარეობის, სატრანსპორტო კვანძების, ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურების შესახებ და სხვა მსგავსი ინფორმაცია) გავრცელების მიზნით. ამასთან, თითოეული ფასიანი სოციალური რეკლამისა და ინფორმაციის ხანგრძლივობა 90 წამს არ უნდა აღემატებოდეს.

3. საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება მხოლოდ საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის მოსამზადებლად ან/და ეთერში გადასაცემად.

4. აკრძალულია პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური პარტიის ლიდერის ან თანამდებობის პირის, პოლიტიკურ პარტიათა კოალიციის ან ბლოკის, სხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ მაუწყებლის დაფინანსება, აგრეთვე მისი მომსახურების შესყიდვა, გარდა პოლიტიკური რეკლამის გადაცემისა და საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მისი ნებისმიერი პროგრამის მომზადების ან ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება.“.

21. 70-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ეროვნული მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტების მიხედვით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ყოველწლიურად, 1 მაისამდე თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს და კომისიას წარუდგინოს გასული წლის საქმიანობის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, სალიცენზიო პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების, მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსების წყაროების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა. აუდიტი უნდა განხორციელდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ინტერპრეტაციის მიხედვით. ამასთან, ეროვნული მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა აუდიტორული შემოწმება უნდა ჩაატარებინოს კომისიის მიერ შერჩეულ ერთ-ერთ აუდიტორს.“;

გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. ეროვნული მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია,

ყოველწლიურად, 15 იანვრამდე, 15 აპრილამდე, 15 ივლისამდე და 15 ოქტომბრამდე გამოაქვეყნოს თავის ვებგვერდზე და კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამისი თვის პირველი რიცხვისთვის თავისი აქტივებისა და პასივების, აგრეთვე შესაბამის პერიოდში განხორციელებული ინვესტიციების (მათი ოდენობისა და ინვესტორთა მითითებით) შესახებ.“.

22. 71-ე მუხლში:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ლიცენზიის მფლობელის ან/და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ კანონის 61¹ მუხლის მე-4 პუნქტით და 62-ე მუხლის 1² პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, აგრეთვე ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელი ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი წერილობით გააფრთხილოს.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მფლობელს დააკისროს ჯარიმა მის მიერ ამ კანონის 61¹ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული გაფრთხილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში მაშინვე, ხოლო 62-ე მუხლის 1² პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – 2 თვის ვადაში დარღვევის აღმოუფხვრელობისათვის.“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. კომისიის გადაწყვეტილება ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან ლიცენზიის გაუქმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია მოითხოვოს მატერიალური ან/და მორალური ზიანის ანაზღაურება ლიცენზიის მოქმედების არამართლზომიერი შეჩერების ან ლიცენზიის არამართლზომიერი გაუქმების გამო, რომლის ოდენობასაც ადგენს სასამართლო.“.

23. 76-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 29-ე – 32-ე პუნქტები:

„29. კომისია ვალდებულია, თავის ვებგვერდზე სრულად განათავსოს კანონით გათვალისწინებული და მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაცია არა უგვიანეს 2011 წლის 1 იანვრისა.

30. კომისიის წევრმა ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა და მე-2 და მე-3 პუნქტების ახალი რედაქციის (2010 წლის ... თვის N ... კანონი) ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში თავისი მდგომარეობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ამ ნორმების მოთხოვნებთან ან იგი უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისიის წევრი უნდა განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ამ ვადის გასვლიდან ერთი კვირის ვადაში.

31. მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა ამ კანონის 61-ე მუხლის ახალი რედაქციის (2010 წლის ... თვის N ... კანონი) ამოქმედებიდან 15 დღის ვადაში კომისიას უნდა მიაწოდოს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია.

32. მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა ამ კანონის 37-ე და მე-60 მუხლების

ახალი რედაქციის (2010 წლის ... თვის N ... კანონი) ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში თავისი მდგომარეობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ამ ნორმების მოთხოვნებთან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი
„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა
და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N44, 11.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

1. მე-13 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ მუხლთან ერთად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრისა და კომისიის აპარატის თანამშრომლის, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვის, გენერალური დირექტორისა და თანამშრომლის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხებს აწესრიგებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 23-ე მუხლები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.